



შემოქმედებითი საქართველო

## კონკურსი: ხელოვანთა მობილობა

**კონკურსის მიზანია** ხელი შეუწყოს ხელოვანების და სახელოვნებო სექტორში მოღვაწე პროფესიონალების მობილობას, პროფესიულ განვითარებასა და მათი წარმოებული პროდუქტის ინტერნაციონალიზაციას;

**კონკურსი ითვალისწინებს** სამი ძირითადი მიმართულების ხელშეწყობას:

- 1) **პროფესიული განვითარება** - პროფესიული განვითარების მიზნით საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა: კონფერენციები, სემინარები, აქსელერატორები, ინკუბატორები, რეზიდენციები და სხვა, *გარდა განათლების აკადემიური სასწავლო პროგრამებისა: ბაკალავრი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა;*
- 2) **პროდუქტის ინტერნაციონალიზაცია** - შემოქმედებითი ინდუსტრიების დარგში ქართველი მეწარმეების საერთაშორისო ბაზრობებში, გამოფენებში, კონკურსებსა და შოუ-ქეისებში მონაწილეობა და სხვა;
- 3) **საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა** - ქართველი ხელოვანების და სექტორის პროფესიონალების საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორცაა: ფესტივალები, გამოფენები და გასტროლები, *გარდა კერძო მოწვევებისა და სხვა.*

**კონკურსის ფარგლებში შემდეგი ხარჯების მოთხოვნა არის შესაძლებელი:**

- 1) მგზავრობის, 2) განთავსების და 3) ღონისძიებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების.

**კონკურსის პრიორიტეტია:** ხელოვანების, ხელოვნებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის სექტორში მოღვაწე სპეციალისტების პროფესიული განვითარება, ქართული სახელოვნებო პროდუქტის პოპულარიზაცია და ინტეგრაცია სერთაშორისო ბაზარზე, საერთაშორისო ღონისძიებებში ქართველი ხელოვანების მონაწილეობა.

სექტორში მოღვაწე პროფესიონალებს, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები, ან ფლობენ პირადობის ნეიტრალურ მოწმობას ან/და ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს.

მობილობის ფარგლებში, სსიპ „შემოქმედებითი საქართველოდან“ მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა არ უნდა აღემატებოდეს **5,000** ლარს (ყველა გადასახადის გათვალისწინებით);  
**მობილობით გათვალისწინებული თანხის მოცულობა**

1. მობილობა ცხადდება ღია კონკურსის სახით, წელიწადში ერთხელ: 2019 წლის 15 თებერვლიდან - 15 ნოემბრამდე, მობილობისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის ამოწურვამდე;
2. გამარჯვებულ პროექტებზე გადაწყვეტილებას იღებს სპეციალურად მოწვეული კომისია, წელიწადში ოთხჯერ: 2019 წლის 15-25 მარტი, 15-25 მაისი, 15-25 აგვისტო, 10-20 ნოემბერი;
3. მობილობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვებულ აპლიკანტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რომელიც გაფორმდება კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში;
4. მობილობა უნდა განხორციელდეს და საბოლოო ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2019 წლის 1 დეკემბრისა.

#### **კონკურსის პირობები**

1. მობილობის კონკურსში გამარჯვებული პირი შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ კონკურსის გზით, ხოლო დაფინანსება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების სახით, მხოლოდ საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილ აპლიკანტზე;
2. **პრიორიტეტი მიენიჭება** თანადაფინანსების მქონე პროექტებს და იმ პროექტებს რომლებსაც, მიმდინარე წელს, არ აქვთ მიღებული დაფინანსება განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროდან;
3. მობილობა დაფინანსდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის და მასზე მიბმული ინვოისების საფუძველზე, მის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში, საიდანაც კონკურსანტი თვითონ უზრუნველყოფს მობილობასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვას;
4. პროექტის ფარგლებში, ხელშეკრულების გაფორმებამდე გაწეული ხარჯს სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ არ ანაზღაურებს;
5. სსიპ „შემოქმედებით საქართველოს“ და განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს უფლება აქვთ შეზღუდვის გარეშე გამოიყენონ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ციფრული ან და ნაბეჭდი ასლი, ნებისმიერი სახის აქტივობასა და სივრცეში.
6. სსიპ-ს „შემოქმედებითი საქართველო“, მონიტორინგის მიზნით, შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომლის წარმოსადგენად აპლიკანტებს 3 სამუშაო დღე მიეცემათ;
7. სსიპ-ი „შემოქმედებითი საქართველო“ კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო შეხვედრებს მართავს, საკონკურსო ვადებში, ყოველ სამშაბათ დღეს,

14:00 საათიდან 15:00 საათამდე, საკუთარ ოფისში, მისამართზე: თბილისი, ვ. დოლიძის ქუჩა, კორპუსი №28.

სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ წარმოდგენილ აპლიკაციებს მხოლოდ ტექნიკურ ზედამხედველობას უწევს. საკონკურსო განაცხადს განიხილავს და აფასებს სპეციალურად შექმნილ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ საკონკურსო კომისიას;

№	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	მომწვევი ორგანიზაციის/ღონისძიების მნიშვნელობა.	10 ქულა
2	ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები და მათი ღირებულება.	20 ქულა
3	ვიზიტისთვის საჭირო ხარჯების ადეკვატურობა და შესაბამისობა ვიზიტის მიზნებთან და აქტივობებთან.	10 ქულა
4	ვიზიტის შემდგომ პოზიტიური გავლენა სფეროზე ან/და ვიზიტის შემდგომ დაგეგმილი აქტივობები.	10 ქულა
<b>სულ</b>		<b>50 ქულა</b>

**როგორ წარვადგინოთ განაცხადი**

- კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებმა მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ მხოლოდ ელექტრონული სახით. პროექტთან დაკავშირებული ყველა შესავალი ფორმა იხილეთ შემოქმედებითი საქართველოს ვებ-გვერდზე - [competition@creativegeorgia.ge](mailto:competition@creativegeorgia.ge)
- საპროექტო განაცხადი და სხვა სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს ელ. ფოსტაზე - [info@creativegeorgia.ge](mailto:info@creativegeorgia.ge) (თუ ვებ-გვერდის სათაურის ველში აღნიშნულად უნდა მიუთითოთ: **MOB-2019 სახელი, გვარი** (თუ ელექტრონულად წარმოსადგენი დოკუმენტების მოცულობა აღემატება 20MB-ს, გთხოვთ, [info@creativegeorgia.ge](mailto:info@creativegeorgia.ge)); [khatiatchokhoniidze@gmail.com](mailto:khatiatchokhoniidze@gmail.com)

საპროექტო განაცხადი მიღებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოგზავნილ საპროექტო განაცხადზე მიიღებთ დასტურს. თუ დასტური არ მიიღებთ ერთ სამუშაო დღეში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ - ელ-ფოსტაზე [info@creativegeorgia.ge](mailto:info@creativegeorgia.ge) ან ტელეფონზე [555 009 931](tel:555009931) ან დათო ხადირაძე, პროგრამის მენეჯერი, [593750076](tel:593750076) ხატია ჭოხონელიძე პროგრამის კოორდინატორი.

1. პროექტის განაცხადი შევსებული თანდართულ PDF ფორმატში;
2. დანართი №1 - დეტალური ბიუჯეტი (ბიუჯეტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი PDF ფორმატში;
3. დანართი №2 - თქვენი რეზიუმე/CV ან პროფესიული ბიოგრაფია ქართულ ენაზე;
4. დანართი №3 - სამოტივაციო წერილი ქართულ ენაზე;
5. დანართი №4 - მოქმედი პასპორტის ასლი, რომლიც მოქმედი უნდა იყოს თქვენი ვიზიტიდან 6 თვის განმავლობაში;
6. დანართი №5 - ღონისძიებაში მონაწილეობის ან/და მოწვევის წერილი;
7. მოთხოვნილი თანხის შესაბამისი ინვოისები (ინგლისურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში, თარგმნა არ არის სავალდებულო. სსიპ შემოქმედებითი საქართველო არ დააფინანსებს პირველი და ბიზნეს კლასის ავიაბილეთებს, სასტუმროს შემთხვევაში კი, სამვარსკვლავიან სასტუმროზე მაღალი კლასის სასტუმროში განთავსებას);
8. პორტფოლიო;
9. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, დონორის მიერ გაცემული წერილი ან დოკუმენტი თანადაფინანსების შესახებ (ინგლისურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში თარგმნა არ არის სავალდებულო).

-----  
 -----  
 მობილობის კონკურსთან დაკავშირებული ყველა შესავსები ფორმა იხილეთ შემოქმედებითი საქართველოს ვებგვერდზე.

**დაგვიანებით წარმოდგენილი ან/და არასრულად შევსებული განაცხადის ფორმები ვერ მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას.**

*კონკურსის დროს მიღებულ დოკუმენტებს სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ან პროექტის ავტორების მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული შემთხვევებისა.*

მობილობის შემდგომი ანგარიშგება

- დაბრუნებულმა აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს:
- წერილობითი ანგარიში;
- მგზავრობის დასადასტურებლად, საზღვრის კვეთის და ავიაბილეთების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სასტუმროს/სახცოვრებლის გადარიცხვის/გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ვიზიტის ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა ორ ეგზემპლარად, ჩაწერილი CD ან DVD დისკზე;

- ვიზიტის შედეგების პრეზენტაცია (reflection), დაბრუნების შემდეგ, სსიპ „შემოქმედებით საქართველოსთან“ წინასწარი შეთანხმებით.

არასრული ანგარიშის წარმოდგენის, ან ანგარიშის წარმოდგენლობის შემთხვევაში, ფიზიკური პირი ვალდებულია დააბრუნოს მიღებული თანხა სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ მიერ მითითებული პროცედურების დაცვით.

კონკურსთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ  
ელექტრონული ფოსტით მისამართზე ან  
საკონსულტაციო ცენტრში

[khatiatchokhanelidze@gmail.com](mailto:khatiatchokhanelidze@gmail.com)

[dato@creativegeorgia.ge](mailto:dato@creativegeorgia.ge)